



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



27/06/2017

20-07-4-201706271756



N 20

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 დადგენილება №20
 2017 წლის 27 ივნისი
 ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7
 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში (matsne.gov.ge 03/02/2015 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016208) შევიდეს ცვლილება და დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობათა რეესტრი, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.
 გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამდებობათა რეესტრი, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

N	თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	1350
2	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	1000
3	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი)	1	900
4	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	750
5	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში)	1	750
6	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750
7	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	750
8	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	600
9	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	600
10	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	600
11	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	600
12	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	570
13	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	570
14	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	570
15	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	570
16	მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	570